საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2417
10/06/2022

2417-21-2-202206101232

შპს „ამბ ჯგუფს“
მის: ქ. თბილისი, თიანეთის ქ. 8, ბ. №12
ელ. ფოსტა: ambgroup@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1466 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოძისის მიმდებარედ, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის (ნავთობპროდუქტების საცავის) GPS კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);
- სკრინინგის განცხადებაში ობიექტზე განთავსებული დიზელის რეზერვუარის მოცულობად რიგ შემთხვევაში მითითებულია 4.5 $მ^3$, ხოლო რიგ შემთხვევაში - 4.5 ტონა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ნავთობპროდუქტების რეზერვუარის სასუნთქი სარქველ(ებ)ის ტექნიკური პარამეტრების (სიმაღლე, დიამეტრი) შესახებ;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავი არ არის აღჭურვილი საწვავმარიგებელი სისტემით და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვის მიზნით, საწარმოს ტერიტორიაზე, საწვავი გადაიტანება მცირე ზომის რეზერვუარების საშუალებით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვის ადგილის შესახებ, გენ გეგმაზე დატანით, ასევე, დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო